ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N07

2016 წლის 29 თებერვალი
ქ. ქობულეთი

სს „სილქნეტი“-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს „სილქნეტი“-ს თანდართული სქემების შესაბამისად ქობულეთი, ჭავჭავაძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს „სილქნეტმა“ უზრუნველყოს სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე



ქსელი სატ. კანალიზაცია:
ხვ 32 მეტრი,
ø 2 მეტრამდე

პირობითი ნიშნები
არსებული ჭა
არსებული სატ. კანალიზაცია
საპროექტო სატ. კანალიზაცია

			1-3
			ქობულეთი, ჭავჭავაძის 1
			სახაზო ნაგებობები — CRM ID. 14895 — ეტაპი 1
			საკადასტრო ხაზები — ს.ს. „სოფლის კეთილდღეობა" 12.11.2015